სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

59773408811226

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N261043117

რეგისტრაციის თარიღი

03.08.2026 წ

ნოტარიუსი: თამარ კობახიძე
მისამართი: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი №5, კომერციული ფართი
ტელეფონი: 271-00-79

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შეუქმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

ორი ათას ოცდაექვსი წლის სამ აგვისტოს მე, თამარ კობახიძეს, საქართველოს ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, მოსკოვის გამზირი #5, კომერციული ფართი, მომმართა **ავთანდილ მუმლაძემ,** რომელმაც მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მომნდობი პირის პიროვნება მის მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **ავთანდილ მუმლაძემ** (დაბადებული 27.07.1964 წ., რეგისტრირებული მისამართზე საქართველო, ქალაქი თბილისი, III მასივი, IX კვარტალი, კორპუსი 3ა, ბინა 94, პირადი N01027006989) მომმართა. მე დავრწმუნდი მის ქმედუნარიანობაში. შემდეგ წავუკითხე და განვუმარტე მინდობილობის ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის სამართლებრივი შედეგები, მანაც წაიკითხა და განაცხადა, რომ მინდობილობის ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებასა და სურვილს და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **ავთანდილ მუმლაძემ** (მონაცემები მითითებულია ზემოთ) ამ მინდობილობით **ვასილ გიორგაძეს** (დაბ. 13.04.1988 წ., პ/ნ 01024050374) მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

1. ჩემს საკუთრებაში არსებულ ნებისმიერ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, იყოს ჩემი წარმომადგენელი საჯარო და კერძო სამართლის სუბიექტებთან ურთიერთობაში, ადმინისტრაციულ ორგანოებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, მათ შორის იუსტიციის სახლში, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, არქივში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, საქალაქო მერიებში და მათ სტრუქტურულ დანაყოფებში, სსიპ-ებში, სამსახურებში, სააგენტოებში, რაიონულ გამგეობებში, მუნიციპალიტეტებში და ა.შ. მათ შორის ტრანსპორტის და ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურში, მუნიციპალურ ინსპექციაში, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში, ქონების მართვის სააგენტოში, საქართველოს შსს-ში და მის სტრუქტურულ ერთეულებში, მათ შორის სსიპ შსს მომსახურების სააგენტოში, საპატრულო პოლიციაში და ა.შ.
2. მიიღოს ნებისმიერი სახის ნებართვები, აწარმოოს საპროექტო სამუშაოები და დოკუმენტაცია ნებისმიერ არქიტექტურის სამსახურში, წარადგინოს დასამტკიცებლად არქიტექტურული პროექტი, მიიღოს პროექტი, გადაავადოს პროექტი, გააგრძელოს ნებართვის ვადები, შეიტანოს ცვლილებები პროექტში, განაცხადოს თანხმობა ჩემი სახელით, მოაწეროს ხელი ჩემს მაგივრად, გადაიხადოს კანონით გათვალისწინებული გადასახადები და შეასრულოს ყველა მოქმედება რაც საჭირო გახდება არქიტექტურულ, საპროექტო, სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით, მათ შორის სხვადასხვა საკითხებზე ნებართვის აღება, განხილვაზე დასწრება, პროექტის დამტკიცება/შეცვლა/კორექტირება, განახორციელოს ელექტრონული ხელმოწერა შესაბამის განაცხადზე, ატვირთოს დოკუმენტები ელექტრონულად და სხვა.
3. უძრავი ქონების გამრიცხველიანებასთან, აბონენტად აღრიცხვასთან დაკავშირებით და სხვა ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მიმართოს ჩემი სახელით ელექტროენერგიის მომწოდებელ ნებისმიერ კომპანიას, გაზის მომწოდებელ ნებისმიერ კომპანიას, ასევე წყლის მომწოდებელ ნებისმიერ კომპანიას, ინტერნეტის პროვაიდერ ნებისმიერ კომპანიას, მათ შორის შპს "მათიკომ"-ს სს "სილქნეტი"-ს და კომუნალური მომსახურების მომწოდებელ ნებისმიერ კომპანიებს, ორგანიზაციებს და ადმინისტრაციულ ორგანოებს;
4. წარადგინოს სარეგისტრაციოდ საჯარო რეესტრში დოკუმენტები, შეიტანოს ცვლილებები ამონაწერში საჯარო რეესტრიდან, საჭიროების შემთხვევაში, დაუკვეთოს აზომვითი სამუშაოები, შეიტანოს ცვლილებები აზომვით ნახაზში, მოახდინოს რეკონსტრუქცია, დემონტაჟი, ჩააბაროს მშენებლობა (მოახდინოს ექსპლუატაციაში მიღება) იგი უფლებამოსილია ჩემი სახელით შეაგროვოს დოკუმენტები, შეიტანოს განცხადებები, ჩააბაროს და უკან გამოითხოვოს ყველა საჭირო დოკუმენტები, მოაწეროს ხელი ჩემს მაგივრად დოკუმენტებს, მიიღოს ყველა სახის ნებართვა, ტექნიკური პირობები, გადაიხადოს კანონით გათვალისწინებული გადასახადები და შეასრულოს ნებისმიერ მოქმედება რაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.
5. მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.

მინდობილობა გაცემულია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგანაც ერთი ინახება ნოტარიუსი თამარ კობახიძის სანოტარო ბიუროში, დანარჩენი გადაეცა მომნდობ პირს.

გადახდილია სანოტარო საზღაური 18.0 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წ. #50 დადგენილების 31-ე მუხლისა, 5.0 ლარი სანოტარო მოქმედებათა ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციი საფასური, თანახმად ამავე დადგენილების 39-ე მუხლისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166 მუხლის თანახმად დღგ 3.24 ლარი.

ხელმოწერა _____

ნოტარიუსი: თამარ კობახიძე

ნოტარიუსი თამარ კობახიძე * ქ. თბილისი * 01024011220 * NOTARY TAMAR KOBAKHIDZE * GEORGIA